ავთანდილ არაგული
ნინო ნაკუდაშვილი მარინე ხუციშვილი

ქართული ენა

მოსწავლის რვეული

5

სხივგოსნი

ქართული ენა
V კლასის მოსწავლის რვეული

ავტორ-შემდგენლები: ავთანდილ არაბული
ნინო ნაკუდაშვილი
მარინე ხუციშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ქეთევან გოგავა

© „სწავლანი“, 2018 წელი. პირველი გამოცემა

გამომცემლობა „სწავლანი“
მისამართი: თბილისი, ს. ცინცაძის 39
ტელ.: 2 36 91 85
www.stavlani.ge

ISBN 978-9941-9548-2-5

A. Arabuli, N. Nakudashvili, M. Khucishvili
GEORGIAN LANGUAGE 5
Workbook
First Edition, 2018
Published by STSAVLANI Publishing

სახელი _____

გვარი _____

სკოლა _____

წელი _____

ეს პირობითი ნიშანი მიუთითებს, რომ მოცემული სავარჯიშო შემდეგ გვარდზე გრძელდება.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ენის როლი ადამიანის ცხოვრებაში....5
ადამიანის ენა და ცხოველთა სიგნალები....7
სიგნალები ჩვენ ირგვლივ....8
ჟესტი და მიმიკა....9
ქართული ენა....11
ბგერები და ასოები....13
როგორ წარმოიქმნება ბგერები....14
ხმოვნები და თანხმოვნები....15
ბგერები და სიტყვები....16
მარცვალი....17
დამარცვლა და სიტყვის გადატანა....18
სიტყვა....19
სიტყვის მნიშვნელობა....21
სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით....23
სინონიმები....25
სინონიმების შერჩევა. სინონიმთა შერწყმა....27
ანტონიმები....29
სიტყვათა წარმოქმნა....31
რთული სიტყვების მართლწერა....33
წინადადება....35
წინადადების წევრები....37
მარტივი და რთული წინადადება....39
სრული და უსრული წინადადება....41
ერთგვარწევრებიანი წინადადება....42
სხვათა სიტყვა....43
წინადადების წარმოთქმა და სასვენი ნიშნები....44
სიტყვათა ძირითადი კლასები ანუ მეტყველების ნაწილები....46
არსებითი სახელი....47

არსებითი სახელის ჯგუფები 49
ბრუნება 51
ფუძე და ბრუნვის ნიშანი 53
ფუძის ცვლილება ბრუნების დროს 54
სახელის მრავლობითი რიცხვი 55
თანდებულები და მათი დანიშნულება 57
ზედსართავი სახელი 58
ზედსართავი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად 60
რიცხვითი სახელი 62
ნაცვალსახელი 64
ჩვენებითი ნაცვალსახელი 66
კუთვნილებითი ნაცვალსახელი 68
მოქმედება და მოქმედი პირები 70
ზმნიზედა 72

5

მოსწავლის სახელი და გვარი _____

ენის როლი ადამიანის ცხოვრებაში

სავარჯიშო: ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალება:

ადამიანის მთელი ცხოვრება ადრეული ბავშვობიდან ღრმა სიბერემდე ენასთან არის დაკავშირებული. პატარა ბავშვი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ლაპარაკობს, გაფაციცებით უგდებს ყურს მშობლების საუბარს, დედის სიმღერას, ბებიისა და ბაბუის მოყოლილ ზღაპრებს. ასე შემოდის მის ცნობიერებაში ენა. საუბარი, სიმღერა და ზღაპარი ხომ ენაა.

შემდეგ თვითონაც ამოიდგამს ენას და მისი ურთიერთობა ირგვლივ მყოფ ადამიანებთან უფრო სრულყოფილი ხდება, ადვილად აგებინებს მათ საკუთარ სურვილებს.

მერე მიდის სკოლაში და ენა აქაც ცოდნის მიღების უმთავრესი საშუალებაა. მასწავლებლის საუბარი და სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები ხომ ენაა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ენის მეშვეობით ეცნობა ადამიანი კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნას. შემდეგ კი ფიქრობს, ფიქრობს წაკითხულზე, ნანახსა და მოსმენილზე, წარსულსა და მომავალზე და, რასაკვირველია, ისევ ენის მეშვეობით. სიტყვების გარეშე ფიქრი ხომ შეუძლებელია!

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ადამიანს საკუთარი ფიქრის, განცდის, ნაგრძნობისა და ნანახის ენის მეშვეობით გამოხატვის სურვილი უჩნდება და წერს ლექსებს, სიმღერებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, წიგნებს... ასე, რომ ენა ადამიანის ნაფიქრ-ნააზრევის, მისი გრძნობებისა და განცდების გამოხატვის, ანუ როგორც ამბობენ თვითგამოხატვის, საშუალებაცაა.

ენის რომელ ოთხ ძირითად ფუნქციაზეა მოცემულ ტექსტში საუბარი, ანუ რისთვის სჭირდება ადამიანს ენა? (შეავსეთ სქემა).

გააგრძელე!

5

ენის ფუნქციები

ენა ადამიანს სჭირდება:

მასწავლებლის კომენტარი